Vorsatz

Als Vorsatz gilt dabei das Wissen und Wollen der Tatbestandsverwirklichung. Der Vorsatz besteht damit aus einem kognitiven und einem voluntativen Element. Im **deutschen Recht** ist nach § 15 dStGB nur vorsätzliches Handeln strafbar soweit nicht ausdrücklich die Strafbarkeit fahrlässigen Handelns vom Gesetz angeordnet wird. Im **georgischen Recht** enthält die Regelung des Art. 9 gStGB sogar Definitionen der verschiedenen Vorsatzarten. Die jeweilige Ausprägung des kognitiven und des voluntativen Elements entscheidet darüber, welche Art des Vorsatzes gegeben ist. Die stärkste Form, der *dolus directus 1. Grades*, verlangt jeweils vom Täter die Kenntnis der Möglichkeit des Erfolgseintritts und einen diesbezüglichen Willen. Der *dolus directus 2. Grades* setzt voraus, dass die Möglichkeit des Erfolgseintritts als sicher (deutsches Recht) bzw. als unvermeidbar (georgisches Recht) erkannt wird, wobei dieser dem Täter sogar unerwünscht sein kann. Die schwächste Vorsatzform, der *dolus eventualis*, liegt vor, wenn der Erfolg vom Täter für möglich gehalten wird und er zumindest gleichgültig in Kauf nimmt, dass es zu dessen Eintritt kommt. Der Begriff und die Einteilung des Vorsatzes in Formen unterschiedlicher Intensität ist damit im georgischen und im deutschen Recht gleich. Anders als im deutschen Recht ist die Unterscheidung zwischen direktem und indirektem Vorsatz im georgischen Recht mittels der Legaldefinitionen in Art. 9 Abs. 2 und 3 gStGB aber gesetzlich normiert. Zudem enthalten diese Legaldefinitionen neben dem Wissen und Wollen der Tatbestandsverwirklichung auch das Unrechtsbewusstsein als Vorsatzmerkmal. (Mpi/Gtu)

განზრახვა

განზრახვა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ცოდნასა და სურვილს. შესაბამისად განზრახვა შედგება კოგნიტიური (ცოდნის) და ვოლუნტატიური (ნებელობითი) ელემენტებისგან. **გერმანულ სამართალში** გსსკ-ის მე-15 პარაგრაფით დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება, თუკი კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების დასჯადობა. **ქართულ სამართალში** სსსკ-ის მე-9 მუხლი განზრახვის ცალკეული სახეების დეფინიციასაც კი შეიცავს. კოგნიტიური და ვოლუნტატიური ელემენტების შესაბამისი გამოხატულება განსაზღვრავს, თუ განზრახვის რომელი სახეა მოცემული. განზრახვის ყველაზე ძლიერი სახე, *პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა* (*dolus directus*) მოითხოვს, რომ პირი ითვალისწინებდეს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გააჩნდეს მას შესაბამისი ნება. *მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას ადგილი აქვს* მაშინ, როდესაც პირი დარწმუნებულია შედეგის დადგომის შესაძლებლობაში (გერმანული სამართალი), შესაბამისად, ითვალისწინებს მისი განხორციელების გარდაუვალობას (ქართული სამართალი), რომელიც პირისთვის არასასურველიც კი შესაძლებელია იყოს. განზრახვის ყველაზე სუსტი ფორმა, *ევენტუალური (არაპირდაპირი, dolus eventualis) განზრახვა*

საზეზეა, როდესაც პირი შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს და სულ მცირე გულგრილად ეკიდება მის დადგომას. მაშასადამე, განზრახვის ცნება და მისი ინტენსივობის სხვადასხვა ფორმებად დაყოფა ქართულ და გერმანულ სამართალში ერთნაირია. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ქართულ სამართალში სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საკანონმდებლო დეფინიციების საშუალებით არის პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა ერთმანეთისგან გამიჯნული. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ცოდნისა და სურვილის გარდა, მოხსენიებული საკანონმდებლო დეფინიციები შეიცავს აგრეთვე მართლწინააღმდეგობის შეგნებას, როგორც განზრახვის ერთ-ერთ ელემენტს. (Mpi/Gtu)